

თამაზ გამყრელიძის გამოსვლა მისი  
 უფლიდესობის რომის პაპის იღანე-აკლე II  
 და სრულიად საქართველოს  
 კათოლიკოს-პატრიარქის, უფლიდესის  
 და უნიტარესის იღია II შესვებრაზე  
 საქართველოს მეცნიერებისა და  
 კულტურის ფარმომაღალგანლებრივი 1999  
 წლის 9 ნოემბერს\*



**თქვენთ აღმატებულებაგ ბატონთ პრეზიდენტო,  
 თქვენთ უწმიდესობაგ და უნეტარესობაგ სრულიად  
 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო,  
 ქალბატონებო და ბატონებო,**

**დღეს მთელი განათლებული ქართველი საზოგადო-  
 ებრიობა უდიდესი მოწიწებით ეგებება ჩვენი საუკუნის  
 გამორჩეულ მოღვაწეს, გატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს  
 სუვერენის, სრულიად კათოლიკური ეკლესის პირველ-  
 მსახურს, მის უწმიდესობას რომის პაპს თოანე-პავლე  
 მეთოდს.**

**ქრისტიანობის მესამე ათასწლეულის მიზნაზე  
 ქრისტიანული ქვეყნების მონახულება სარწმუნოების  
 უმაღლეს მსახურთა მიერ ჩვენი რწმენის მრავალ-  
 საუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ღირებულების  
 მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რასაც არა მხოლოდ, და  
 არა იმდენად წმინდა კონფესიური, რამდენადაც უდიდესი  
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ღრმა კულტურულ-  
 ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება.**

ჩვენი საუკუნის დამლეგს ქართველობა ზეიმით აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფო ბრიობის 3000 წლისთაგს. ამავე დროს, ჩვენ, ქართველები, უძველესი ქრისტიანული ერი ვართ, წარმომადგენლები აღმოსავლური – მართლმადიდებლური – ქრისტიანობისა.

აღმოსავლური ქრისტიანობა, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან, ხასიათდებოდა იმით, რომ იგი ქრისტიანობას თავიდანვე ავრცელებდა ადგილობრივი, ეროვნული ენებისა და კულტურების საფუძველზე.

ამ მოვლენამ გამოიწვია ის, რომ აღმოსავლურ კულტურულ არეალში ქრისტიანობის მიღებასთან ერთად იმთავოთვე იწყებოდა საღმრთო წიგნების თარგმნა და დაფიქსირება ეროვნულ, მშობლიურ ენებზე. სწორედ ეს იყო აღმოსავლურ ქრისტიანობაში ეროვნებისა და ეროვნული კულტურების ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორი.

შუა საუკუნეების ჩვენი დიდი მწერლისა და მოღვაწის გიორგი მერჩულეს თქმით: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულოთა ენითა უამი შეიწირგის და ლოცვად ყოველი აღესრულების“. ეს პრინციპი ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის მიღების პირველივე საუკუნეებიდან მოქმედებდა და წარმართავდა და განსაზღვრავდა მთელ ჩვენს სულიერ არსებობასა და ყოფიერებას.

ამისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა დასავლურ



კულტურულ არეალში ჭრცელ-დებოდა ძირითადად ლათინური ენის საფუძველზე, საღმრთო წიგნების ადგილობრივ, ეროვნულ ენებზე გადატანისა და თარგმანების გარეშე.



პრინციპი საეკლესიო მსახურებისა და წირვა-ლოცვის ერთგულ ენებზე ჩატარებისა კათოლიკურ სამყაროში, როგორც ცნობილია, მთლიან მოგრიანებით განხორციელდა და ამის უპირველესი გამტარებელი დღეს მისი უწმიდესობა რომის პაპი იოანე-პავლე მეორე ბოძანდება, რომელიც მრავალენოფნობის განსაცვიფრებელ მაგალითს გვიჩვენებს და ღვთისმსახურებას თითქმის ყველა იმ ხალხთა ენებზე ატარებს, რომელთაც იგი უმაღლესი სამშვიდობო მისით ეწვევა.

საქართველოშიც, ჩვენს საზოგადოებასაც მისმა უწმიდესობამ ქართულად მიმართა და მოუწოდა ყველა ქრისტიანს მშვიდობის, მმობისა და კაცომლყვარეობისაკენ.

ეს უმაღლესი ჰუმანური მისია, რასაც მისი უწმიდესობა იოანე-პავლე II ასე წარმატებით ახორციელებს მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით გასაგებია ჩვენთვის დღეს, ჩვენს უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში საქართველოში და მთელს კავკასიაში.

სწორედ აქ იქნა წამოყენებული „შუალობიანი კავკასია“ იდეა, იდეა კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისა და თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც დაუპირისპირდა დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ კონკურენციას „ცივილიზაციათა შეტაკების“ (*clash of civilizations*) შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის კავკასიაშიც.

გამოგთქვამთ რწმენას, რომ მისი უწმიდესობის რომის პაპის იოანე-პავლე II ვიზიტი საქართველოში კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კავკასიაში ამგვარი დიალოგის წარმართვასა და თანამშრომლობას სხვადასხვა ცივილიზაციასა და სარწმუნოებას შორის; ჩვენი ქვეყანა ხომ ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული შემწყნარებლობით განსხვავებული აღმსარებლობისა და რწმენის მიმართ.

თქვენთ უწმიდესობავ!

მე დავიწყე საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელით ჩემი მისალმება აღმოსავლური ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს – ქართულ – ენაზე და მინდა დავამთაგრო იგი დასავლური ქრისტიანობისა და კათოლიკური ეკლესიის უძველესი კანონიკური, ლათინური ენით:

*«Hodierno die, quo adventus Vestrae Sanctitatis in terram nostram sollemniter celebratur, Vestram Sanctitatem et omnes hospites, qui Vobiscum venerunt, ut patriam nostram honorarent, toto pectore salutamus et Vobis gratias maximas agimus.*

*Patria nostra, hic locus antiquae Christianorum ecclesiae, semper culturae et religionum variarum domicilium firmum erat et postero tempore similiter, precibus Vestris, crescat, floreat et ad bonos successus luceat.*

*Salutatio Vestra in hac terra in cordibus nostris permanebit in aeternum et in saecula saeculorum.*

*Maximas gratias».*

---

[„დღეგანხდელ დღეს, როდესაც ჩვენ საზომო გითარებაში ძღვნიშნავთ თქვენი უწმოდებობის ჩვენს ქვეყნაში ჩამობრძანებას, გულითადად მივსაღებით თქვენს უწმოდებობას და ყველა თქვენთან ერთად ჩამობრძანებულ სტუმარს, რომლებიც პატივს მიაგებენ ჩვენს ქვეყნას.

ჩვენი სამშობლო, ქრისტიანობის ეს უძველესი საგანგ, ძველთაგანგე იყო მყარი ადგილსამყოფელი სხვადასხვა კულტურებისა და სარწმუნოებათა; დაუმომავლენი, თქვენის ღორცვა-კურთხევით, იგი ასევე ვაძლიერებულიყოს და აყვავებულიყოს კეთილი საქმეებისათვის გზის საჩვენებლად.

თქვენი ჩვენს ქვეყნაში ჩამობრძანება მარად დარჩება მოსაგონიად ჩვენს გულებში.

უღრმეს მაღლობას მოგახენებოთ”].

\* \* \*



---